საქართ. კომპარტ. სოც.-ფედ. საბჭ. პარტიის

წელიწადი მეხუთე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
4 „ 100,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 475 სამშაბათი, მაისის 22 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა მცხოვრებთ.

ახხან გაზრდ და ჯოკალ ქენო!

მუშებო და გლეხებო!

თქვენ, ჯანსაღნო და შრომის უნარის მქონენო, თქვენ ჩაცმულ-დახურულნო და მაძღარნო, თქვენ მოგმართავს მუშურ-გლეხური მთავრობა საბჭოების თქვენი ხელისუფლება მოწოდებით: გაიღვიძეთ, ამოძრავდით და მიაქციეთ თქვენი თვალყური, მთელი თქვენი ყურადღება ამ დამკვრელ კვირის განმავლობაში **20 დან 27 მაისამდი** თქვენს ძმებს, რომლებიც დაზარალდენ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის ფრონტებზე. მათ, დასახიჩრებულმა მეომრებმა, სამოქალაქო ომის მსხვერპლებმა დაიცვეს პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოების ხელისუფლება როგორც შინაური მყვლეფელების—მემამულეების, ფაბრიკანტების და ჩარჩებისაგან, ისე საერთაშორისო იმპერიალიზმის გარეშე მტაცებლებისაგან—ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალის ყაჩაღებისაგან, რომლებიც ხელს იშვერდენ ჩვენი ნავთის, ჩვენი შავი ქვის და ჩვენი ქვეყნის სხვა სიმდიდრისაკენ.

იუდა-გამცემლების: ნ. ნ. ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, რამიშვილი და სხვა მსგავს თაღლით-მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების,—დახმარებით საერთაშორისო კაპიტალს სურდა გადავექციეთ ჩვენ ახალ ირლანდიათ, ან უბედურ ინდოეთად, ან მაროკოთ. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების მუშებმა და გლეხებმა დაიცვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო და ჩვენი საზღვრებიდან გადარეკეს საერთაშორისო იმპერიალისტები ლაქია მენშევიკებ, დაშნაკებ, მუსავატელები და სხვა მსგავს კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად.

ეს მოხდა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის წყალობით, რომლის ბევრი მეომარი გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. მაგრამ ბევრი, ვინც ცოცხალი გადარჩა, დაგვიბრუნდა ჩვენ ძლიერ დაზიანებული, დასახიჩრებული, უხელო და უფეხო, ნერვებ აშლილი და დაავადმყოფებული. მუშურ-გლეხური მთავრობა აკეთებდა და აკეთებს ყველაფერს, რაც კი შეუძლია მას მათი ცხოვრების და ჯანმრთელობის შესამსუბუქებლად. მაგრამ მას არ შეუძლია სავსებით განკურნოს ის ჭრილობები, რომელიც მიაყენეს ჩვენ ძვირფას დასახიჩრებულებს, რადგან ის აწარმოებს ველურ იმპერიალისტების მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენას.

აი რათ მოგიწოდებს მუშურ-გლეხური მთავრობა თქვენ, მოქალაქენო, განურჩევლად სქესისა, ამოძრავდეთ, გაიღვიძოთ, არ დარჩეთ ყრუ ჩვენი დასახიჩრებულების საჭიროებებისადმი და გაუწოდოთ მათ დახმარების ძმური ხელი. მიეცით ყველაფერი რაც კი შეგიძლიათ ჩვენი დასახიჩრებული ძმებისათვის, რომლებიც ასე დაზარალდენ ომისა და რევოლიუციისაგან.

მიეცით მათ, სიმშილისაგან, სიცივისაგან და ომის ყველა საშინელებისაგან განაწამებთ, საშვალება იგრძნონ თქვენი მადლობა; მიეცით მათ თავისი საცვლების, ტანსაცმელის, ფეხსაცმელის ნაწილი; მოიქეცით ისე, რომ ისინიც შეჰხაროდენ სოციალისტური საზოგადოების მხნე ცხოვრების ბედნიერებას, რომელსაც ხელმძღვანელობენ მუშები და გლეხები.

დეე ნუ გაძუნწდება თქვენი ხელი და ნუ დაჩლუნგდება თქვენი გრძნობები.

სამუდამო სირცხვილი იმათ, რომელიც დაივიწყებს თავის წმინდა მოვალეობას მშრომელი მასების საქმისათვის ბრძოლაში დაზარალებული ძმების წინაშე.

დაეხმარეთ დასახიჩრებულებს.

დეე არ დარჩეს არავინ ისეთი, რომელიც 20—27 მაისის დამკვრელი კვირის განმავლობაში არ შეიტანს თავის წვლილს ომისა და რევოლიუციის დასახიჩრებულთა ტანჯვის შესამსუბუქებლად.

გაუმარჯოს ჩვენ ძმებს—დასახიჩრებულებს!

გაუმარჯოს ყველა მოქალაქეებს, რომელიც იხდიან თავის მოვალეობას დასახიჩრებულთა წინაშე!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას!

ამიერ-კავკასიის და სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**
სრულიად საქართველოს ცენტრ-აღმასკომის მდივანი **პ. საბაშვილი.**

მივხედოთ დასახიჩრებულებს.

რევოლიუციის გამარჯვება მშრომელთა კლასს ძვირად დაუჯდა. იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა მშრომელთა ქვეყანა დააზარალა ეკონომიურად, დააზიანა ფიზიკურად. მრავალი გლეხი და მუშა, უამრავი სოციალისტი და რევოლიუციონერი მსხვერპლად შეიწირა ბრძოლის სტიქიამ. მიდორველები სისხლით მოირწყო. მშრომელთა რიგებიდან გამოსულ რევოლიუციის მებაირახტრეთა ძვლებით ნიადაგი გაპოხიერდა.

მებრძოლთა ერთი ნაწილი სამუდამოდ მოსწყდა ახალი ქვეყნის სინამდვილეს.

ჩვენ კი, რომლებიც ბრძოლის ქარცეცხლიდან „დაუზიანებლად" გამოვედით, გამარჯვებას ვდღესასწაულობთ.

მაგრამ არის თანამებრძოლთა კატეგორია, **რომელიც** „არც ჩვენთანაა, არც მკვდრებთან". დიდია და განუზომელი მისი ღვაწლი, რევოლიუციისა და მშრომელი ხალხის ინტერესებისადმი მიძღვნილი. თავისუფლებისათვის ბრძოლაში აუარებელი შრომის შვილი, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი გოლიათი დასახიჩრდა ფიზიკურად. მათი რიცხვი, სამწუხაროდ,—ლეგიონია.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ხშირად ვხვდებით ქუჩებსა თუ კერძო ბინებში, აგრეთვე სპეციალ დაჭრილ-დასახიჩრებულთა სალებში შრომის ინვალიდებს.

მათ უნდათ ცხოვრება, უშუალოდ ჰვრეტა იმ დიად რეზულტატების, რომლებისათვის ისინი იარაღით ხელში იბრძოდნენ კაპითალისტებისა და ფეოდალურ არისტოკრატიის წინააღმდეგ.

ჩვენი ვალია: დავეხმაროთ რევოლიუციისათვის მებრძოლთ რითაც კი შეგვიძლიან. ამას გვიკარნახებს ჩვენ ადამიანური გრძნობა და რევოლიუციონური სინიდისი.

მაისის 20-დან 27-მდე გაგრძელდება დაჭრილ დასახიჩრებულთა კვირეული. მან უნდა მოგვცეს იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც კი შესაძლებელია თანამედროვე პირობებში.

ამიტომ ჩვენი გულწრფელი მოწოდებაა: მიხედოთ წითელ ინვალიდებს, დავეხმაროთ მათ მთელი ჩვენი ძალ-ღონით. უკანასკნელი გროში მათი სალაროსათვის.

გვიან გაიგეს.

ამსტერდამელები თავის პოლიტიკური მოქმედებით თუ უმოქმედობით ხელს უშლიდენ მუშათა კლასის რევოლიუციონურ გამოსვლებს. რეფორმიზმის ჭაობში მომწყვდეული ხალხი ოპორტიუნიზმითა და პაციფიზმით სულდგმულებდა. მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა მათთვის არ წარმოადგენდა ხელსაყრელ საქმეს, რადგან ამით რევოლიუციონური მოძრაობა მუშათა კლასისა ვერ მოთავსდებოდა ამსტერდამელთა გეგმების ფარგალში.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მათი პოზიცია შეურიგებელი იყო. საქართველოსაც ეწვია ერთ-ერთი პატარა გმირი ამსტერდამის ინტერნაციონალიდან, რომელმაც ინსინუაციების აღსავსე ფელეტონი მოათავსა ვენის „მუშათა გაზეთში" საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ საერთოდ და საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ კერძოდ.

დღეს დეპეშები გვაუწყებს, რომ ჩეხიის რკინის-გზელთა ყრილობაზე პრაგაში ამსტერდამის პროფინტერნის მდივანმა განაცხადა, რომ ვოროვსკის მოკვლა ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო რეაქცია ომით გვემუქრება. საბჭოთა რუსეთი არის ერთად ერთი დასაყრდენი მუშათა მოძრაობისა და იმპერიალიზმი ცდილობს მის დამარცხებას. იგი აღნიშნავს, რომ როდესაც მოსკოვი და ამსტერდამი იმოქმედებენ სოლიდარულად მაშინ იქნება გამარჯვება მიღწეული. ჩეხიის რკინის გზელთა ყრილობა მას მიაჩნია მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ გადადგმულ ნაბიჯად.

ეს ცნობა მეტად საყურადღებოა. ამსტერდამის პროფინტერნი მნიშვნელოვანი ძალაა და მის მიერ მთლიანი ფრონტის მიღება ხელს შეუწყობს ამ იდეის პრაქტიკულად გატარებას.

ცხადია ამსტერდამელებმა გვიან გაიგენ იმპერიალისტური საფრთხის არსებობა. ვოროვსკის მოკვლა არ იყო საჭირო იმის გამოსაცნობლად, რომ რეაქცია ემზადება თავდასხმისათვის და კაპიტალის ფრონტი ცდილობს გაანადგუროს საბჭოთა რესპუბლიკები, როგორც ერთად-ერთი დასაყრდენი მუშათა საერთაშორისო მოძრაობის.

ამსტერდამელების ნაბიჯი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი და კერძო ხასიათის. ისინი ფრონტილაც მოქმედებენ და მუშათა კლასის განწყობილებას დიდ ანგარიშს უწევენ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ უკანასკნელ ხანებში გამწვავებულმა მდგომარეობამ და ახალი ომის შესაძლეობამ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მასები გამოაფხიზლა და ამსტერდამელებიც იძულებული გახდენ გადაედგათ ნაბიჯი მარცხნივ. რამდენათ, შესაძლებელია ვიფიქროთ რომ მუშათა ფართო მასების თვალსაზრის გამოხატავს ამსტერდამელთა ნაბიჯი მარცხნივ, იმდენათ მას მეტი ფასი აქვს და მნიშვნელობა ენიჭება მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის.

თანდათან ურიგდებიან იმ ელემენტარულ, ცხადსა და მარტივ აზრს, რომ კაპიტალის თავდასხმა საბჭოთა რესპუბლიკებზედ საფრთხეს უმზადებს არა მარტო ამ რესპუბლიკებს, არამედ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. საბჭოთა რესპუბლიკების დამარცხება იქნებოდა რეაქციის უშფოთველესი განვითარება არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების დღევანდელ სარბიელზედ, არამედ ეს იქნებოდა მთელი ევროპის მაშტაბით რეაქციის გამძვინვარება. ეს შეგნება, მართალია ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც ფეხს იკიდებს სოციალ-დემოკრატიულ მასებში. ამსტერდამელებმა გვიან გაიგეს ეს, მაგრამ სჯობს გვიან გაგება, ვიდრე არასოდეს არ გაგებას.

პრესა

მოსკოვის „პრავდა" ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „ახალი თავდასხმა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირზე და ევროპის მუშათა კლასი", რომელშიაც სწერს:

„დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, როცა ჩვენ ვსწერდით, რომ, როდესაც ახალი ომის საფრთხე საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მოევლინება მსოფლიოს, მაშინ თვით სოციალ-დემოკრატიული მუშებიც იგრძნობენ და გაიგებენ რომ ეს საფრთხე ამავე დროს მიმართულია მათ წინააღმდეგაც".

ამ წინასწარმეტყველობის სისწორის საუკეთესო ილიუსტრაციაა ეხლახან მიღებული ცნობა ამსტერდამის ინტერნაციონალის ერთ მდივანთაგანის ფიმენის სიტყვის შესახებ. აი რას ამბობს ეს უზომიერესი სოციალ-დემოკრატი: „ამხ. ვოროვსკის მოკვლა,—ეს არის მსოფლიო კაპიტალის აქტი. რეაქცია იმუქრება ომის კოლონის გაჩაღებით, რომელიც კიდევ უფრო უარეს საფრთხეს წარმოადგენს იმასთან შედარებით, რაც ჩვენ განვლეთ.

საბჭოთა რუსეთი, მიუხედავად თავისი შეცდომებისა, არის მსოფლიო მუშათა კლასის დასაყრდენი. მისი დამარცხება იქნებოდა დასამარება ევროპაში მუშათა კლასის თავისუფალი მოძრაობის. ამისათვის კაპიტალიზმი ყოველივე ძალღონეს ხმარობს იმისათვის რათა დაამხოს ახალი ომით საბჭოთა რეჟიმი".

ფიმენი მოითხოვს ერთიანი ფრონტის შექმნას. ეს ნიშნავს მუშა სოციალ-დემოკრატების ნაბიჯს, გადადგმულს მარცხნით, საბჭოთა რუსეთის მიმართ სიმპატიების ზრდას კაპიტალის თავდასხმისათვის წინააღმდეგობის გაწევის შეგნებას.

კაპიტალის შემოტევა იწვევს თავისთავად პროლეტარიატის მხრივ წინააღმდეგობას. დღემდე კაპიტალიზმი სულდგმულობდა პირველ ყოვლისა ამსტერდამელების და სოციალ-დემოკრატების დახმარებით. ეხლა კი ეს ნიადაგი შეირყა და ფეხქვეშ ეცლება მსოფლიო ბურჟუაზიას. წინააღმდეგობათა ბოლო მრავალა შესაძლებელია უკიდურესობამდე მივიდეს და საქმის ასეთი მდგომარეობა აღსასრულს უმზადებს კაპიტალს.

ჩვენი მორიგი ამოცანაა, შევიტანოთ პროლეტარიატის ფართო წრეებში შეგნება. ძველი იდეოლოგიის გახრწნისაგან საბოლოოდ დამოკიდებულია პროლეტარული ბრძოლის გამარჯვება. სწორედ ამისათვის ვუცქერით ჩვენ ასეთი რწმენით მომავალს. პროლეტარული მოძრაობის დასაყრდენი გამოიჩენს გამძლეობას, სიცოცხლის უნარს და განვითარებას და შეასრულებს თავის დიდ როლს კაცობრიობის მომავალში".

ახალი ამბები

— **სტიპენდიები პროლეტკულტში.** განათლების კომისარიატმა დანიშნა პროლეტკულტში 165 სტიპენდია. აღნიშნული სტიპენდიები მიეცემათ იმ პირთ, ვინც პროლეტკულტის მართველობის აზრით გამოდგება პროლეტარულ კულტურის მისაღებათ.

— **მეცადინეობის შეწყვეტა.** განათლების კომისარიატმა დაუგზავნა ყველა დარგის სასწავლებლებს სადაც ნაბრძანებია შეწყვეტილ იქმნას ა. წ. 9 თიბათვეს, ხოლო დანარჩენი ადმინისტრატიული-ორგანიზაციული მუშაობა კი 15 თიბათვეს. ცირკულიარი არ ეხება უმაღლეს სასწავლებლებს.

— **სწავლის განახლება.** სწავლის განახლების დღეთ სასწავლებლებში დანიშნულია 17 სექტემბერი.

პროლეტკულტის ტეხნიკუმში. პროლეტკულტის სტუდიების რეორგანიზაცია დამთავრებულია. დაარსდა პროლეტკულტის ტეხნიკუმი, რომელიც დაამზადებს კვალიფიციონურ სპეცებს სამხატვრო შემოქმედებისათვის როგორც მაგალითად: მსახიობთ, რეჟისორთ, ლიტერატორთ, ჟურნალისტებს, მხატვრებს და სხ.

პრაქტიკული მუშაობა სწარმოებს ოთხ ენაზე: ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ სექციონურათ. დამატებითი მიღება ტეხნიკუმში გრძელდება.

მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ მუშებს, წითელ-არმიელთ და კომკავშირის წევრებს. მეცადინეობა საღამოობითაა. ლექტორებათ და რეჟისორებათ მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები. მიღება ყოველდღიურათ 11—3 საათამდე და საღამოს 3—8 საათამდე. მისამართი ბელინსკის ქუჩა № 2 ოთახი 3.

— **საქართველოს წითელ ჯარის ახალი შეფი.** საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირმა მიიღო შეფობა საქართველოში მყოფ რუს წითელ არმიის ნაწილების და ქართულ წითელ ჯარზე. ამის გამო ზეიმი და დროშის ჩაბარება დანიშნულია ოთხშაბათს 23 მაისს.

— **საბავშო დღესასწაულის გადადება.** ჩათახის ქარხნის გახსნის ზეიმის დანიშვნის გამო 20 მაისისათვის დანიშნული საბავშო დღესასწაული გადადებულ იქმნა.

— **ინვალიდების კვირეული.** 20 მაისიდან საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დაიწყო ინვალიდების კვირეული. მცხოვრებლები დიდი თანაგრძნობით ხვდებიან კვირეულს.

— **ტუგანოვის იუბილეის გამო.** საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს ტუგანოვს მისი 35 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო ნახევარი მილიარდი. აგრეთვე განათლების კომისარიატმა გადადო მილიარდის მეოთხედი.

— **შემთხვევები.** იზმაილოვის ქუჩაზე № გაქურდეს აბრამ არუთინოვის ბინა.

უდელის ქუჩაზე № 7 გაქურდეს იოსები ლორთქიფანიძის ბინა.

ვერის დაღმართი № 28 გაქურდეს სტეფანე როზაკოვიჩის ბინა. ბოროტ-მოქმედი შეპყრობილია.

საკათალიკო საბჭოს ეკლესიას გაუჩნდა ცეცხლი, მაგრამ დროზედ იქნა ჩაქრობილი.

ხოჯივანქის ეკლესიაში უეცრად თავი დაიჭრა ავაქოვმა.

არსენალის ქ. № 55 გაქურდეს ჰუმბურიძის სახელოსნო.

მეორე რაიონის მილიციონერი დასჭრა მოქ. მატოზოვმა.

ხუდადოვის ქ. № 5 გაქურდეს კელივაცბეის ბინა.

ბორჯომის ქ. № 12 თავი დაიჭრა რევოლვერით გრიგოლ მიდისიანცმა.

— **დაიკარგა** პირადობის მოწმობა, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიხეილ ფილიპეს-ძე სიმონიამ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

მოკლე ცნობები

ს. ს. ს. რესპუბლიკის ფარგლებში მომხდარ შემთხვევების შესახებ.

(10—14 მაისამდე)

სიღნაღის მაზრა

ბანდიტების გაქცევა. 20 აპრილს ლაგოდეხის მილიცია გაემგზავრა ბანდიტების წინააღმდეგ ბანდიტ ჯაბაშვილის ბინაში. ჯერ არ მისულიყვნენ დანიშნულ ალაგას, რომ ტყეში შეხვედრიან ორ ბანდიტს, რის შემთევაც აუტეხნიათ სროლა და ამით ბანდიტებს უსარგებლიათ გაქცევით, ადგილობრივ დარჩენიათ ორი ნაბადი.

მკვლელობა. 5 მაისს წითელ-წყაროზე მინდორში ალექსი ზურაბიშვილს და შაქრო მარდენაშვილს მოსვლიათ ჩხუბი. ზურაბიშვილს უსვრია თოფი და მოუკლავს მარდენაშვილი. ბოროტ-მოქმედი შეპყრობილია.

ბანდიტების დახოცვა. 7 მაისს ალექსი და ბაგრატ ბავლოშვილები წასულან თავიანთ საქმეზე სოფ. გავაზაში, საიდანაც აღარ დაბრუნებულან. მათ საძებნელად წასულან პარტიული ამხანაგები. ტყეში თელავ-სიღნაღის საზღვარზედ წააწყდენ სამ ბანდიტს, მოუხდათ შეტაკება და მოკლულ იქმნა ორი ბანდიტი. მოკლულ ბანდიტებს აღმოაჩნდათ ბავლოშვილების ტანისამოსი.

გაცარცვა მკვლელობით. 7 მაისს სოფელ ჩუმლაყში დასცემიან ნიკო ომარაშვილს იმავე სოფლის მცხოვრები ფითო ქოჩიაშვილი და წაურთმევია სხვა და სხვა საოჯახო ნივთები, თან წაუყვანია ომარაშვილი ტყეში და მოუკლავს.

ქუთაისის მაზრა

წყალში დამრჩვალნი. 7 მაისს მდინარე ყვირილაში იქმნა აღმოჩენილი დამხრჩვალი მილიციელი ალექსინდრე ჯულუხაძე.

სოფ. ნამოხვარში მწყემს ამროსი სულაძეს მდინარე რიონში უნახავს უცნობი.

გაცარცვა. ქუთაისიდან სამ ვერსზე სანდრო ჰელიშვილმა გაცარცვა მგზავრები.

ბანდიტის მოკვლა. 10 მაისს გომის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს ივ. ჩაჩუას მიერ მოკლულ იქმნა ბანდიტი ივანე თევზაძე.

თვით ქალაქ ქუთაისში მოხდა 3 შემთხვევა ქურდობისა.

თელავის მაზრა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდიტებთან შეტაკება. სოფ. გრემში მოხდა შეტაკება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდიტებთან, სადაც მოკლული იქმნა ბანდიტების მეთაური ყაზაშვილი და დაიჭრა კანდელაკი. შეტაკებამ მთავრობის ჯარის ნაწილების მხრივ იმსხვერპლა ჩონის უფროსი მაია ერისთავი, მილიციელი ჯაშიაშვილი, რომელნიც მოკლულ იქმნენ. დაიჭრა ჩეკის თანამშრომელი წერეთელი. ბანდიტი ბაიხაძე თავის ნებით გამოცხადდა.

მკვლელობანი. სოფ. ვანთაში ბოროტმოქმედებს ესროლიათ სანდრო შარვაძისთვის თოფი და მოუკლავს.

მცხ. სოფ. ხოდაშენში ბოროტმოქმედებს მოუკლავთ ხელაშვილი.

სოფ. შალთაში გიგო მირიანაშვილს ცივი იარაღით მოუკლავს საბა მირიანიშვილი.

შვილის გატაცება. სოფ. აკურაში ბოროტმოქმედებს ბებურიშვილისთვის გაუტაცნიათ მისი შვილი ლადო.

მასწავლებლის მოკვლა ქუთაისში. ამაღლების სკოლის დარაჯმა მოჰკლა ამავე სკოლის მასწავლებელი ძიგრიაშვილი. ბოროტმოქმედი შეპყრობილია.

ქურდობა. გაქურდულია პირველ მსროლელ დივიზიის გებ ბატარეია.

სენაკის მაზრა.

თვითმკვლელობა. ახალსენაკის რაიონში ალექსანდრა ლიფანავამ რევოლვერით თავი მოიკლა.

ცოლის მოკვლა. სოფ. ხორში ყაჩაღი ბერია და ძიძავა შეცვივდნენ მარკოზ ყუჯავას სახლში და მოუკლავთ მისი ცოლი.

ზუგდიდის მაზრა.

გაძარცვა, დაჭრა და ცეცხლი. სოფ. ხეთის მცხოვ. ლევან და ვასილ კუტალიებს დაეცენ ყაჩაღები ბერაია და ძიძავა, რომლებმაც მოახდინეს გაცარცვა.

ზუგდიდის რაიონში ბოროტ-მოქმედებს გაუტეხიათ ხაშია კვარაცხელიას და ბეგი მესხის დუქნები.

სოფ. მუხერში იოსებ კვარაცხელიას დაეწვა სახლი.

სოფ. ფახულაში ეკლესიიდან წაღებულია ნივთები, ბოროტ-მოქმედნი შეპყრობილნი არიან.

სოფ. ხეთაში ბურთაობის დროს ვლადიმერ დემენიას დაუჭრია ათანასე მოლაშხია.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

დეკრეტი ა/კ. ცენტრ. აღმასკომისა და ა/კ. სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახკომსაბჭოსი.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ამ ჟამად სოფლის მეურნეობაზე გაწერილი როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი პირდაპირი გადასახდების მომქმედი დეკრეტებისა და დადგენილებათა გასაუქმებლად — ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ გადასახადების ნაცვლად, რაც ამ ჟამად გაწერილია სოფლის მოსახლეობაზე, სახელდობრ: ერთიანი ნატურალური, შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის, პროგრესიულ-საშემოსავლო, საკომლო-სამამულო, სამრეწველო ბაღებზე და ბოსტნებზე და, აგრეთვე, ყველა ადგილობრივი გადასახადის ნაცვლად, რაც გაწერილია სოფლის მეურნეობაზე,—დაწესებულ იქნეს 1923—1924 წ.წ. ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი იმ მოსახლეობისათვის, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას და, აგრეთვე საბჭოთა, და კოლექტიურ მეურნეობათათვის.

შენიშვნა 1: გადასახადი ესე გავრცელდება აგრეთვე ქალაქისა და ქალაქური ტიპის დასახლებული ადგილის იმ მოსახლეობაზე, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას და რომლისთვისაც ეს მეურნეობა შეადგენს ძირითად საქმეს.

შენიშვნა 2: სამრეწველო და სავაჭრო მოსაქმეობა სოფლის მოსახლეობისა დაბეგვრილ იქნება ვაჭრობისა და მრეწველობის გადასახადის შესახებ არსებულ კანონდებულებათა წესით.

2. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს და გამოიხატოს ერთიანი წონადი საზომით (ერთი ფუთი ხორბალი — ხორბლის ერთეულში.

3. გადასახადი სოფლის თვითეულ ცალკე მეურნეობას გადახდება ფულად ან ნატურით იმისდამიხედვით თუ რა რაიონში მდებარეობს მეურნეობა.

შენიშვნა 1: რაიონებს, სადაც გადასახადი აკრეფილ უნდა იქნეს ნატურით, განსაზღვრავს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების წარდგენით. წინასწარი ცნობები ამისათვის უნდა წარადგინონ ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულებმა და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ თვითეული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სანქციით. აღნიშნულ რაიონებს უფლება ექნებათ გადასახადი გადაიხადონ ფულითაც.

შენიშვნა 2: საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას გადასახადი უპირატესად ფულად გადახდებათ.

4. ერთიანი [illegible] დის ნატურალური ნაწილი [illegible] იქნას ხორბლეულ[illegible]

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში ერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისა უფლება ეძლევა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ ხო კომისარიატთან შეთანხმებით დააწესოს გა სახადის აკრეფა სხვა პროდუქტებითაც.

5. ხორბლის ერთეულის ფულად ეკვივა რესპუბლიკების თვითეული რაიონისათვის გან ღირავენ და საჭიროების მიხედვით გადას ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახა კომისარიატების რწმუნებულნი მიწათ-მოქმე სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატ ტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და ამი კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კ სარიატების დამტკიცებით.

6. სოფლის მეურნეობის ყოველი პროდუქ გადატანის დროს ფუთი ხორბალის წონად სა ზე, ეკვივალენტი (ნორმა) განისაზღვრება ი წესით, როგორც ფულადი ეკვივალენტი (მუხ. 5

7. გადასახადის რაოდენობა თვითეული მე ურნეობისათვის გამოანგარიშებულ უნდა იქნეს:

ა) იმის მიხედვით, თუ რა სივრცისაა ნავზე გადატანით,—მეურნეობაში სახნავი, ვე ხეხილის ბაღი, და სათიბი და აგრეთვე სხ ტურიანი მიწები (გარდა იმ კულტურათა, რ მოთვლილია მე-9 მუხლის 1-ლ პუნქტში).

ბ) იმის მიხედვით თუ როგორი მოსავლი ბა აქვს პურეულს ერთ დესეტინაზე.

გ) იმის მიხედვით, თუ რამდენი წლოვანი შა და მსხვილი რქოსანი და წვრილფეხა სა ლია მეურნეობაში.

გლეხის თვითეული მეურნეობისათვის გ სახადის ჯამის გამოსაანგარიშებლად ამ მეურ ბის სილონიერისა და გადახდის უნარიანობის ხედვით დაწესებულია:

ა) მეურნეობათა ჯგუფები სახნავის ხისა, ხეხილის ბაღისა, სათიბისა და სხვა კულ რიანი მიწების რაოდენობის მიხედვით.

ბ) მოსავლიანობის კატეგორიები დე ზე ფუთობით.

გ) მეურნეობათა ჯგუფები ოთხფეხი ლის რაოდენობის მიხედვით მსხვილ რქოს ნელზე გადატანით.

შენიშვნა 1: დასაბეგრი მიწების ჩაითვლება სახნავი საშემოდგომო და საგაზ ლო ნათესით, აგრეთვე ბალახეულის ნათეს ული და სანახირო მიწები.

ქართველი და ევროპიელი ქალები

(შემდეგი)

III

თანამედროვე ინგლისელები დიდის რიხითა და ბაქა ბუქით გაიძახიან: „ჩვენი ქვეყანა ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის სამშობლოაო. სრულ სიმართლეს ბრძანებენ. თავდაპირველად მართლაც ინგლისში შემოიღეს სამჯავროებში ნაფიც მსაჯულთა შემწეობით საქმეების გარჩევა. მაგრამ, მეცნიერება გვარწმუნებს, რომ ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი აქვსო,—და ამიტომაც ჩვენ ასეთი კითხვა დავსვათ: რამ აიძულათ ინგლისელები ყველაზე პირველათ ასეთი დიდი ნაბიჯის გადასადგმელად? ხალხის ე. ი. ინგლისის ქვეშევრდომთა განათლება-განვითარებამა და პოლიტიკურად გათვითცნობიერებამ თუ უარყოფითმა მოვლენამ აი ასეთ კითხვას თუ დაუსვამთ განათლებულსა და კეთილშობილს ინგლისელს, ის მოკლეთ გიპასუხებთ: „ცხოვრებამო“.

დიახ, სწორედ წყვდიადით მოცულ ცხოვრების შვილებმა მკვეთრ ბურუსში გახვეულმა მშრომელთა მასამ ძალითა და მუქარით გადაადგმევინა ინგლისის მთავრობას მღნიშნული ნაბიჯი. ინგლისის მშრომელმა მასამ თავის მთავრობას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ძალითა და მუქარით შემოაღებინა—იმიტომ, რომ თავის წარმომადგენლების საშვალებით მაინც დარწმუნებულიყო ის სავსებით, რომ ესა თუ ის ქალი ნამდვილად გაასამართლა მთავრობამ და ჯადოქრობა-კუდიანობისთვის კოცონზე დაწვა-დაფერფლა, ან ცოცხლად დამარხვა, ანდა ცოცხალ გველებთან ერთათ ტომარაში ჩასმა და მდინარეში გადაგდება გადაუწყვიტაო.*)

„ჯადოქარ კუდიან“ ქალზე ასეთი განჩინების გამოსატანად უექველად მთელი ხალხი უნდა დასწრებოდა, მაგრამ, ვინაიდან მთელი ხალხის დასწრება, მისი ერთ დარბაზში დატევა ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომაც მთავრცბის წარმომადგენლები ამ ხალხის მიერ არჩეულ პირთა თანადასწრებით არჩევდნენ საქმეებს. „დამნაშავე“ ქალის ამნაირათ გასამართლებისა და დასჯის შემდეგ, უკანასკნელი (ე. ი. ხალხის მიერ არჩეულნი) დაბრუნდებოდენ უკან და ხალხს აცნობებდნენ ყოველივეს. ეს ისე ხდებოდა, როგორც, მაგალითად, ჩვენს დროში პარტიულ ყრილობებს ახდენენ. აი სადამდის მიდიოდა „კუდიან“ ქალთა დევნა-წამების საშინელება იმ განათლებულსა და გაიძვერა ინგლისში, სადაც თვით 1815 და 1817 წლებში კი გამოყავდათ ქმრებს ყელში ბაწარ ჩაბმული ცოლები პირუტყვსავით ბაზრებზე და ყიდდენ. საქსონიის ძველი ადათი ძალით ამის უფლება ქონდათ ინგლისის ქვეშევრდომთ თვით მე-10 საუკუნის დასაწყისშიც! *)

მაგრამ განა მარტო ინგლისში ქონდა ქალებისადმი ასეთ მხეცურ მოპყრობას ადგილი? ყველგან—მთელ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ქალებს ასე აწამებდნენ. გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისსა დი სხვ. ქვეყნებში მთელი საშვუალო საუკუნეების განმავლობაში სიტყვა „ცოლის შერთვაც“ კი არ არსებობდა; იქ ამბობდენ: „ცოლი ვიყიდე“**) ამიტომაც მათ ცოლის გაყიდვის უფლებაც ქონდა. ამ უფლებას მამაკაცები სიმამრიდან ღებულობდენ. გერმანიაში ცოლის გაყიდვა მე-XV საუკ. დასაწყისშიც ხდებოდა. შემდეგ კი არა. რას წარმოადგენდა იქ ცოლი ქმრის ხელში? არაფერს. უბრალო ნივთს. ცოლი იქ ქმრის მაგიერ ბატონს ამბობდა. ასეთი წყვრი სამხრეთ გერმანიაში თვით მე-XIX საუკ. უკანასკნელ წლებამდისაც არსებულა თითქმის. ქმარი იყო ბატონი და მსაჯულიც ცოლის. მამაკაცი დედაკაცს კიდეც სიკვდილით დასჯიდა, ამისითვის ის პასუხს არავის წინაშე არ აგებდა. ცემა და დასახიჩრება ცოლის ხომ სულ უბრალო მოვლენათ ითვლებოდა. ქალბატონ სავინიცს ერთმა ფრანგმა გლეხმა უთხრა ამის შესახებ; „თავის თავად ცხადია, რომ ცოლებს უნდა ვსცემოთ მამაკაცებმაო“ და სხვ. სცემდნენ, რასაკვირველია, რაკი სრული ბატონი იყვენ თავიანთი ცოლებისა. საშვალო საუკუნოების დამლევამდის ეკლესიაში დაქორწინებაც არ არსებობდა, და როგორც ვსთქვით ცოლის ყიდვა-გაყიდვა იყო. მაგრამ ვერც ეკლესიაში დაქორწინების შემოღებით ეშველათ ქალებს, რაკი ხუცები დახმარების მაგივრათ, საშინლათ სდევნიდენ ქალებს, როგორც ჯადოქრებსა და ხორცსხმულ სატანებს. ამ მხრივ სამღვდელოების მოქმედება უსაშინელესია.

IV

სამღვდელოებამ თუ რამდენად დაიმონა, დაიმორჩილა და რელიგიურ ბურუსში გონება დაუბნია ხალხს—ეს ქალთა წამების ისტორიიდან ნათლათ სჩანს. ტაციტის ზემოთ მოყვანილ სიტყვებიდან დავინახეთ, რომ ძველი გერმანელი ქალები ღირსეული და დამამშვენებელი მეუღლენი იყვნენ თავიანთ ქმრებისა. გერმანელ მამაკაცებსა და დედაკაცების ურთი-ერთისადმი ასეთი დამოკიდებულება თანდათან ძლიერდებოდა. მიტომაც ქალებისადმი პატივისცემაზე არც ერთი ერი იმდენს არ ლაპარაკობს დასავლეთ ევროპაში, რამდენსაც გერმანელები. მათთვის ეს მოვლენა უდიდესი და უდიადესი სიამაყის საგანს შეადგენს. „ქალებისადმი პატივისცემა არის ძირითადი თვისება გერმანელ ნაციონალურ ხასიათისაო“. ეს სიტყვები გერმანელებისათვის ძვირფასია. ასეა ნათქვამი ისტორიის ყველა სახელმძღვანელოებში, როგორც სპეციალურ-გერმანულში, ისე საერთოშიაც. ამ ჭეშმარიტებას აღიარებდენ ყველა გერმანელი მწერლები, მეცნიერები და არა მეცნიერები. ამას კვერს უტყამენ თვით ისეთი პოეტები, როგორნიც არიან შილერი და გიოტე (მოიგონეთ, თუ როგორ ათავებს გიოტე თავის „ფაუსტს“).

მაგრამ ამის შესახებ ბიუხნერი შემდეგსაც ამბობს: „გამოცდილება გვაჩვენებს, გვარწმუნებს, რომ იმათ, ვინც ენით სულ ზნეობის შესახებ ლაპარაკობს, გულში ყველაზე ნაკლებს ფიქრობს—და კეთილსახება იქ კი არ არსებობს, სადაც მისი „ვივესკები ბრწყინავენო“. ეს სიტყვები მეტის მეტად მკვეთრათ ახასიათებს გერმანელების გადამლაშებული თავის ქებას ქალთადმი დამოკიდებულების საკითხში. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანელები მთლათ ღირსნი არ არიან ისე გაწკეპვლისა. არ არიან, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ძველი გერმანელი ქალის მდგომარეობა საშვალო და ახალ საუკუნეთა გერმანიაში სავსებით ხუცებმა შესცვალეს და, ამნაირათ, სიტყვა „მეუღლეს“-ში მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორობის ნაცვლათ უკანასკნელის მონობისა და ჯადოქრობის შინაარსი შეიტანეს. ამის დასამტკიცებლათ აუარებელი მაგალითის მოყვანა შეიძლება და ჩვენც ზოგიერთს მოვიყვანთ. მ. ა. მიხაილოვის დასახელებულ წიგნის 198 გვერდზე შემდეგს ვკითხულობთ:

„კოცონზე დაფერფლილ ჯადოქარ—კუდიან ქალთა რაოდენობა საშინელებას უდრიდა. ექვს წელში 1484—ნ 1489 წ. დამლევამდე დასწვეს ოთხმოცდა ცხრა ჯადოქარი, ჰერდლინჰენის პატარა ქალაქში 4 წლის განმავლობაში (1590—1594 წ.) ოცდა თორმეტი ქალი დაფერფლეს. დაახლოებით 1580 წლიდან დაწყებული გერმანიაში დაფერფლას ადგილი ქონდა en grand, და არ შეწყვეტილა მთელი საუკუნის განმავლობაში. ჯადოქართა გამონახვის სისტემა ისეთი იყო, რომ ერთ ქალზე იჭვის მიტანა და მისი დასჯა იწვევდა მეორესა და მეათის პასუხის გებაში მიცემასა და დაწვას კოცონზე...

ვიურცბაურგის ეპისკოპოსმა—ადოლფ ერენბერგმა ორ წელში (1627—1627) დასწვა ცხრაასი ჯადოქარი. ამათგან მარტო ვიურცბურგიდან ორასცხრამეტი იყო. 1678 წელს ზალცბურგის არქიეპისკოპოსმა ერთათ დასწვა ოთხმოცდა შვიდმეტი ჯადოქარი. ჰეისეს საგრაფოში ათ წელში (1640—1651) დაახლოებით კუდიანობისთვის ათასამდე ქალი დასწვეს. ქალაქ ბრაუნგშვეიგში 1590 წლიდან დაწყებული 1600 წლამდე ჯადოქარ-ქალთა დასჯა ისე ხშირათ ხდებოდა, რომ კოცონთა შერუჯულშეფუფქული ბოძები ქალაქის ჭიშკრის გადაღმა ისე ბლომათ იყო, მთელი ტყე გეგონებოდათ. არ იყო არც ერთი ქალაქი, დაბა, სააბატო, მემამულის მიწა-წყალი, არ იყო არც დიდი და არც პატარა კუთხე, სადაც გერმანიაში კოცონები არ გუზგუზებდენ. ერთმა გოლშტინელმა მემამულემ, ვინმე ფონრაცოვმა მარტო ერთ დღეს თავის მამულში თვრამეტი ჯადოქარი დასწვა. საშვალო გამოანგარიშებით, გერმანიაში „ჯადოქართა ძებნამ“ ას მეტი ქალი მოსპო—„იმსხვერპლა“.

ასეთ მდგომარეობაში იყვნენ [illegible] ბი მთელს ახალსა და საშვალო საუკუნეებ მანიაში, ერთი მწერლის სიტყვით, ერთი ქ არ იყო ისეთი, რომელსაც შიში არ ქონდა, მას დღეს თუ არა ხვალ მაინც ჯადოქრობ ეშმაკთან კავშირს დასწამებდნენ.*)

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავ პიროვნება: პირველი—„უცოდველი მემკვიდ რე მოციქულისა“, პაპი ინოკენტი VIII და ცნობილი გუმანისტი—რეფორმატორი ლ პირველმა გერმანიის ორ პროფესორს თე სას—ჰენრიხ ინსტიტორსა და იაკობ შპრენგ ბულა რომელშიც მათ, როგორც ინკვიზი უხსნიდა, რომ „გერმანელი ჯადოქრები თან ერთად დათარეშობენ და მოწოდების ბისა, განდგომისა და სხვ... საშუალებით ნაყოფს ქალისასა და პირუტყვთა აგრეთვე რის ნაყოფსა და მარცვლეულობას, ზვრებ ბებსა და ჯეჯილს სპობენ. ამასთანავე თვი მიანებსაც, მამაკაცებსა და დედაკაცებს ყოველნაირ პირუტყვებსაც ისინი აავადმყოფ სხვა და სხვა შინაგანი და კანის ავადმყოფ და სხვა და სხვა“. ამ სტრიქონებს კომენ არ სჭირდება. აქ მხოლოდ ის უნდა აღ რომ ამ ბულის წყაროებით შპრენგელმა— მა ინკვიზიტორმა შექმნა შემდეგი წიგნი: „М **по ведьме**“. ეს წიგნი 1489 წ. გამოიცა და ის კოდექსათ გარდიქცა ინკვიზიტორ ჯადოქრების გამოძიებისა და დასჯის საქმ ინკვიზიტორები იურიდიულათ-ც ამართლ ველი მოქალაქის მიერ ჯადოქართა გამო ბის კავშირში შესვლას. მათი სიტყვით, ჯ ბა-კუდიანობა ეკლესიიდანაც გადგომას მოასწ და და მოყვასთა გაუბედურების მისწრაფებ მაშასადამე, აქ იყო ორნაირი დანაშაული— მაც გამძაგებით სწვავდენ და ფერფლავდ ლოსნები აგუზგუზებულ-ავარვარებულ კ

აი ასეთ საშინელებას სჩადიოდენ პა ხუცები დასავლეთ ევროპაში. მაგრამ ეს იმდენათ გასაკვირალი არაა, რამდენათაც როვნებისგან, რომელსაც აზროვნების იმ რათ ვიცნობთ და რომლის სახელია ლ ყველამ კარგათ ვიცით ისტორიიდან, თუ ესროლა მან ეშმაკს სამელნე. თითონაც ლ ნით გვიამბობს, რომ მას ღამ ღამობით ეშ ხებდა. მას სწამდა, თითქო ზოგიერთი ქალ მაკის ტომის ბავშვებს შობენ. ლიუტერმა კიდეც ურჩია ხალხს იმ მახინჯის წყალში ჩობა, რომელიც დესსაუში აჩვენეს. ის ნით ამტკიცებდა, რომ ასეთი მახინჯები

---

*) იხ. ამის შესახებ **журн. Минс. нар. просв.** №№ 5, 6 და 7 1913 წ. წერილები: „**Ведовство в Англіи**“.

გრ გან.

*) იხ. მ. ა. მიხაილოვის: **Женщины их воспитание и значение в семье и обществе**“ გვ. 232.

**) იხ. ი. მიშლეს წიგნი. „სიყვარული“ 127 გვ.

*) მე-XIX საუკუნის დასაწყისში თ ლასის მეფის დას დასწამეს, რომ მისი ჯ ბის მიზეზით მეფეს მემკვიდრე არ შეეძინა

შენიშვნა 2: იმ ჯოგის რიცხვში, რომელიც ლნუსხულ უნდა იქნეს დაბეგვრისათვის, ჩაითვლე ა მუშა ოთხფეხი საქონელი სამუშაო წლოვანე ისა (სამ წელს გადაცილებული ცხენი, ხარი, ჯორი, ვირი და ოთხ წელს გადაცილებული კამეჩი და აქლემი) მსხვილი რქოსანი საქონელი ოთხ წელს გადაცილებული და წვრილფეხა საქონელი ერთი წლისაზე უფროსი.

შენიშვნა 3: სათიბისა, ვენახისა, ხეხილის ბაღისა და სხვა კულტურიანი მიწების სახნავ მიწაზე გადატანის ნორმას და აგრეთვე მუშა და წვრილფეხა საქონლის მსხვილ რქოსან საქონელზე გადატანის ნორმას დააწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებული მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და დაამტკიცებს ამიერ კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სასურსათო სახალხო კომისარიატი.

8. თვითეული რაიონისთვის მოსავლიანობის კატეგორიები, მას შემდეგ რა კი გამოირკვევა, თუ რა პირი უჩანს ნამდვილად მოსავალს, დაწესებულ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა მიერ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით და თვითეული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სანქციით წარედგინება ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატებს, რომელნიც ერთად წარუდგენენ მას დასამტკიცებლად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

თემებისთვის (საქართველოში) და უბნებისათვის (სომხეთსა და აზერბეიჯანში) მოსავლიანობის კატეგორიებს დააწესებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სამაზრო საგადასახადო კომისიის წარდგენით, მაგრამ ისეთი ანგარიშით, რომ შემცირებული არ იქნეს გადასახადის ის ნავარაუდევი თანხა, რომელიც მოსავლიანობის კატეგორიის თანახმად გამოანგარიშებული იქნება თვითეული რაიონისათვის და დამტკიცებული ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების რწმუნებულთ უფლება ეძლევათ მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით,—მოსავლის განსაკუთრებული სიმწირის გამო, ნება დართონ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა სოფლებისათვისაც დააწესონ განსაკუთრებული კატეგორიები.

9. სახელმწიფოსათვის უაღრესად სასარგებლო კულტურათა წარმატებისათვის და მეურნეობის მეთოდების გასაუმჯობესებლად დადგენილ იქნეს შემდეგი შეღავათი:

1) განთავისუფლდეს გადასახადისაგან მიწები. დათესილი ბამბით, წამლის ბალახეულით და ზაფრანით, ჩაის პლანტაციები და მეაბრეშუმეობისათვის თუთის ხეებით გაშენებული ადგილები და საცდელი მინდვრები და საჩვენებელი და სათესლე პლანტაციები—საგანგებო სიის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2) არ დაიბეგრება გადასახადით ჯიშიანი ოთხფეხი საქონელი და მეფუტკრეობა.

3) მეურნეობა რომელსაც 1921—1923 წ. წ. გაუწევია თვალსაჩინო მუშაობა მორწყვისა, დაშრობის და ქვიშიანი და ხრამიანი ადგილების მოგვარებისათვის, განთავისუფლდება იმ გადასახადის 25 პროცენტისგან, რაც შეეხება მელიორაცია ქმნილ მიწას ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატების მიერ გამოცემული ინსტრუქციის წესისამებრ. გამოუსადეგარი მიწა, რომელიც ამ ჟამად ჩარიცხული არ არის დასაბეგვრი მიწების სიაში, უკეთუ მისი მელიორაცია მოხდება, განთავისუფლდება დაბეგვრისაგან სამი წლის განმავლობაში მუშაობის დამთავრების შემდეგ.

10. გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც იმყოფებიან ან წინედ ყოფილან წითელი არმიისა და ფლოტის ნამდვილ სამსახურში,—მიეცით შემდეგი შეღავათი:

ა) წითელი არმიისა და ფლოტის მოსამსახურე, რომელსაც მეურნეობაში ექნება სხვადასხვა სანახი ორ დესიატინამდე სახნავზე გადატანით, სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან;

ბ) იმ პირის ოჯახი, რომელიც ითვლება წითელი არმიის ან ფლოტის სამსახურში [illegible] განთავისუფლდება გადასახადისაგან, უკეთუ მეურნეობაში არ იმყოფება სხვა შრომის უნარიანი წევრი ოჯახისა;

გ) სამოქალაქო ომის ინვალიდთა და იმ წითელ-არმიელთა ოჯახებს, რომელნიც ტყვედ იმყოფებიან, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის ეძლევათ იგივე შეღავათი, რაც იმ წითელ-არმიელთა ოჯახებს, რომელნიც ირიცხებიან ნამდვილ სამსახურში.

11. ბიუჯეტით გათვალისწინებული ადგილობრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად სკოლებისა და საავადმყოფოების შენახვისათვის, გზებისა-ხიდებისა და სხვა ადგილობრივი საჭიროებისათვის,—მოხდება პროცენტული გადარიცხვა აკრეფილი გადასახადის თანხიდან. ანარიცხის რაოდენობას ადგილობრივი საჭიროებისათვის განსაზღვრავს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო. ანარიცხის გადაცემის წესს ადგილობრივი ორგანოებისათვის განსაზღვრავენ ამიერ კავკასიის სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატები ურთიერთთან შეთანხმებით.

12 თვითეულ რესპუბლიკაში მოეწყობა განსაკუთრებული საგადასახადო კომისია ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატისა და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით, ხოლო მაზრებში, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა კომისია სამი წევრისაგან. კომისიების მოვალეობას შეადგენს წინასწარი განხილვა და წარდგენა ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატისათვის, ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კუთვნილებისამებრ:

ა) მოსავლიანობის სარაიონო, სათემო (საქართველოში) და საუბნო (სომხეთსა და ადერბეიჯანში) კატეგორიებისა;

ბ) რაიონებისა, რომელთაც გადასახადი უნდა გადახდესთ ნატურით;

გ) ფუთი ხორბალის ეკვივალენტისა (ნორმისა) ფულად და პროდუქტებად (მუხ. 5 და 6);

13. შედგენა სასოფლო საგადასახადო სიებისა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ობიექტებისა და ნიშნების (სახნავის, ნათესის, ხეხილის ბაღები, ვენახის, სათიბის და სხვა კულტურიანი მიწების და ოთხფეხი საქონლის) დაწესებით თვითეული მეურნეობისათვის, სწარმოებს სათემო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით და იმ სამეულების სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლისაგან (თავმჯდომარე სამეულისა) და ფინანსთა ინსპექტორისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულისაგან.

მოსავლიანობის კატეგორიების დამტკიცების შემდეგ ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ რაიონებისათვის, ხოლო სამაზრო აღმას-

---

გიორგი დავითაშვილის ბენეფისი



საქართველოს განახლებულმა ცხოვრებამ ეროვნულ ნიადაგზედ გამოაჩინა ცხოვრების ყველა დარგში ახალი ძალები, რომელთაც წინეთ სხვა და სხვა მიზეზთა გამო არა ჰქონდათ საშუალება ეროვნულს სარბიელზედ მუშაობისა, რომ ამით მშობელი ერის კულტურულ სალაროსათვის მიეძღვნათ თავისი ნიჭი და ენერგია. საქართველოს განთავისუფლების შემდეგ დაქსაქსულმა ძალებმა თავი მოიყარა ეროვნულს კერასთან. ემსახურებიან ეროვნულ კულტურულ აღორძინების საქმეს. ასე არის ყველა დარგში. მხატვრობაში, მუსიკაში, დრამატიულ ხელოვნებაში და სხვ. ერთ ერთი, ასეთი ძალაა ნიჭიერი მსახიობი გ. დავითაშვილი, რომლის ბენეფისიც დღეს არის დანიშნული რუსთაველის თეატრში. გ. დავითაშვილი წინეთ რუსულ დრამას ამშვენებდა ოთხი წლის განმავლობაში. მხოლოდ 1920 წ. გადმოვიდა ქართულს დასში და პირველად ჩვენ ვნახეთ ქართულ სცენაზედ დ. ერისთავის „სამშობლო“-ში. რომელშიაც სადებიუტოდ გამოვიდა ხიმშიაშვილის როლში. ეს საღამო მით იყო კიდევ საინტერესო რომ ამავე საღამოს პირველადვე გამოვიდა ქართულს სცენაზედ ქეთევანის როლში, აგრეთვე რუსული დრამის მსახიობი ქალი ე. დონაური-ვაჩნაძე, რომელსაც ეხლა ქართულ სცენაზედ საპატიო ადგილი უჭირავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟამად გ. დავითაშვილი ერთი თვალსაჩინო მსახიობია ქართულ სცენაზედ. ქართველი საზოგადოება ბევრჯერ დამტკბარა მისი კარგი თამაშით, მის ღირსებას შეადგენს მშვენიერი ფიგურა, მოხდენილი მიზან-შეწონილი ჟესტიკულიაცია, ლამაზი პლასტიურობა, კარგი დიქცია, და ზომიერი თეატრალური პაფოსი. ამასთანავე გ. დავითაშვილი არის კულტურული მსახიობი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

გ. დავითაშვილმა ქართულ სცენაზედ წარმატებით შეასრულა შემდეგი როლები: ხიმშიაშვილი—„სამშობლო“, როდამ—„როდამი“, ნაპოლეონი—„მადამ-სან-ჟენი“, დათო—„ღალატი“, თამაზი—„ლონდა“, ფრონდოზე—„ცხვრის-წყარო“, გრენგოლტი—„გუშინდელნი“, და გოჩა „თამარ-ცბიერში“.

დღეს გ. დავითაშვილი გამოდის „ჰამლეტის“ როლში. გულწრფელად ვუსურვებთ ნიჭიერ მსახიობს ახალ გამარჯვებას.

გ. ბუთ—ლი.

მოყავს ნამდვილი ბავშვის ადგილზე, რათა ამით დატანჯოს ადამიანები. ის ხშირათ გაიტაცებს ასულებს წყალში და განაგებს იქ, სანამ ისინი ბავშვებს არ შობენო.

შემდეგ სატანა ამ ბავშვებს აკვნებში ჩააწვენს და ნამდვილათ კი ამოყვანს თან წაიყვანსო“. ამის შემდეგ რა გასაკვირალია, თუ უსწავლელი, უვიც ხალხს ეშმაკისა და ჯადოქრების არსებობა სწამდა ლიუტერის დროშიც.

როგორც აღვნიშნეთ: გერმანიაში ერთიც არ მოიპოვებოდა ისეთი ქალი, რომელსაც შიში არ ქონოდა, რომ ისიც „წმიდა მამების“ გასასამართლებელი არ გახდებოდა. ასეთი შიში უსაფუძლო არ იყო. განსაკუთრებით იმიტომ არ იყო უსაფუძლო, რომ ამ გასამართლებულ ქალში მხოლოდ ერთი თუ დაბრუნდებოდა შინ, თორემ დანარჩენი კოცონზე იფერფლებოდა. პასუხისგებაში ქალის მიცემაც ადვილი საქმე იყო. თუ კი მომჩივანი თავის მიზანს მიაღწევდა ე. ი. ბრალდებას დაამტკიცებდა ამა თუ იმ ქალზე, ამით დიდ სახელს მოიხვეჭდა. საფრანგეთის მეცნიერი მიშლე ამბობს: „1500 წ. დაახლოებით 1675 წლამდე გერმანიაში ქალები საშინელ შიშსა და ძრწოლას განიცდიდენო“. ხშირათ ამ მხრივ ისეთი შინაარსის საჩივარი შეჰქონდათ, რომ მსაჯულმა არც კი იცოდა, თუ რომელი დაესაჯა—ბრალმდებელნი თუ ბრალდებულნი?

„ერთხელ დილით სამმა ქალმა სტრასბურგში, —გვიამბობს მიშლე-საჩივარი შეიტანეს: ერთსა და იმავე დღესა და ერთსა და იმავე საათზე მათ უხილავმა ხელმა ცემა დაუწყო. რანაირათ?—მათი ბრალის დადება შეეძლოთ მხოლოდ გარეგნობით ბოროტ თვისებით ადამიანისადმი, რომელმაც მოაჯადოვა ისინი. ეს უკანასკნელი ფიცულობდა ყველა წმინდანებს, უარს ყოფდა და ამტკიცებდა, რომ ვერც კი იცნობდა ამ ქალებს და არც კი უნახავს ოდესმე ისინი. მსაჯულს ე. ი. ინკვიზიტორს არ სურდა მისი სიტყვებისა და ფიცი-მტკიცის დაჯერება; რაკი დიდ სიმპატიას გრძნობდა ამ სამ ქალისადმი, მან ბრალდებული საკანში ჩააგდო, მაგრამ ამით უკანასკნელნი კიდევ მეტად გაკაჟდა, საქმე იქამდის მივიდა, რომ მას მოელოდა საშინელი წამება—და მზათ იყო ყველაფერში გამოტეხილიყო ისე, როგორც ყველა არა დამნაშავენი იქცეოდნენ ასეთ შემთხვევებში. მიუხედავათ ამისა, მან მაინც სიტყვა მოითხოვა და სთქვა: „მართლაც, მე მახსოვს, გუშინ აღნიშნულ საათზე, მე ვსცემდი, მაგრამ ვსცემდი არა მონათლულ ადამიანებს, არამედ სამ კატას, რომელნიც ბოროტად მომვარდენ და ფეხებზე კბენას მიპირებდენ“... შორს გამჭვრეტი მსაჯული სწრაფათ მიხვდა საქმის ვითარებას: საბრალო ადამიანი უდანაშაულოა. ალბათ სამი ქალი დროგამოშვებით კატებათ გადაიქმნებიან და ეშმაკი თავს ირთობს იმით, რომ მათ ადამიანებს ფეხებში ესვრის, რათა კეთილ ქრისტიანებზე ვინმემ იჭვი აიღოს და ჯადოსნობა შესწამოსო“.

ასე რომ არ მომხდარიყო, მსაჯული-ინკვიზიტორი, თუ მას დიდი სიმპატია არ ჰქონოდა ამ სამ ქალისადმი, როგორ გგონიათ, რა მოელოდა მათ? რასაკვირველია გასამართლება და დაფერფლა. მერე იცით, წაგიკითხავთ, თუ რას წარმოადგენდა ასეთი სამსჯავრო და როგორ ახდენდენ მასში ჯადოქართა შემოწმება-გასამართლებას?! დაბეზღებული და იქ მოყვანილი ქალის შემდეგ კითხვაზე უნდა ეპასუხებინა: სწამს თუ არა მას ჯადოქრობა? ამ კითხვაზე **კი** და **არა** ერთნაირათ საბედისწერო იყო. პირველ შემთხვევაში ეს ნიშნავდა indicium-ს და საჭირო იყო მისგან დიდი ახსნა-განმარტების მოთხოვა. მეორე შემთხვევაში კი ერეტიკოსათ აღიარებდენ მას და სავსებით დამნაშავეთ ასე რომ დაბეზღებული ქალს თავისი სიმართლის დამტკიცება არ შეეძლო. მიტომაც ჩააგდებდენ მას ციხეში, არ აჭმევდენ, არ ასმევდენ, ცემდენ, არ აძინებდენ და სხვ., რათა ასეთი საშუალებით საბრალო ყველაფერში გამოტეხილიყო. მაგრამ რაკი ამითაც ვერაფერს გახდებოდენ, შეუდგებოდენ დამნაშავის გასინჯვას ან, როგორც ეძახდენ, **ჯადოქრის გამოცდას.** ეს გამოცდა შემდეგში მდგომარეობდა: გაპარსავდენ თმას და ინკვიზიტორები შეუდგებოდენ სხეულზე ეგრედ წოდებულ **ეშმაკის ნიშნის** ძებნას. მათის რწმენით, ეშმაკი მიილებდა ქალებს. როცა მობეზრდებოდა მას ამ ქალების ხვევნა-ალერსი, უკანასკნელთ სხეულზე დაუსვამდა თავის ბეჭედს, რომელსაც განსაზღვრული ფორმა ქონდა. ეს ბეჭედი იყო რასაკვირველია ჯოჯოხეთის. ინკვიზიტორები თუ კი დაინახავდნენ ქალის სხეულზე პატარა ლაქას, პაწია, ქინძისთავის ოდენა რაიმე მუწუკისებურს, როგორც ადამიანს ხშირათ აქვს, ნემსს უჩხვლეტდენ. სისხლი გადმოვიდოდა თუ არა—ორივე შემთხვევაში ეშმაკის მოხერხებასა ხედავდენ და მიტომაც მსხვერპლს ჯადოქრათ აღიარებდნენ.

ასეთი საზიზღარი მოვლენა, სამღვდელოების ასეთი უსაშინელესი მოქმედება უაღრესათ არ განვითარდებოდა, რომ მას ე. ი. ამ მოვლენას გარდა რელიგიურისა, მეორე მხარეც არ ქონოდა. ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ასეთი პროცედურის, კორნელოსი ამბობდა, რომ ყველაფერი ეს საშინელებანი „ახლად გამოგონილი ალქიმიაა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ოქრო ადამიანის სისხლისგანო“. და ეს მართლაც ასე იყო. დაფერფლილ ჯადოქართა ქონებას სასულიერო და სამოქალაქო ხელისუფლებათა წარმომადგენელნი იყოფდნენ. ქონების ორი მესამედი ეკუთვნოდა იმ მიწა-წყლის მეპატრონეს, სადაც ეს პროცესი ხდებოდა; დანარჩენი კი ეკუთვნოდათ სასულიერო წოდების პირთ, დამბეზღებელთ და ჯალათებს. ოცდა ათ წლიან ომის დროს, ამ საერთო გალატაკების ეპოქაში, ფულების საშოვნელად საუკეთესო საშუალებათ ჯადოქართა გამოძებნა გადიქცა. „ასეთი საშვალებით სარგებლობდენ განადგურებული აზნაური—მემამულენი, ფინანსიური კრიზისით შეწუხებული ეპისკოპოსები, აბატები, ქალაქთა საბჭოები და სხვ“. (მიხაილოვი) ერთი სიტყვით, „ჯადოქართა“ დევნა-ფერფლვა ერთნაირის ენერგიითა და გატაცებით ხდებოდა კათოლიკურსა და პროტესტანტულს ქვეყნებში.

ამ საშინელებას ბოლო არ მოღებია თვით მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც—ვოლტერისა და რევოლიუციის ეპოქებშიც! 1749 წ. ქ. ვიურცბურგში დასწვეს სამოცდა ათი წლის მოხუცი დედაკაცი—მარიამ რენატი—ზენგურ-ფონ-მაგანი, რომელიც 19-ტი წლიდან მონასტერში გაატარა მონაზვნათ და რომელსაც ჯადოქრობა დასწამეს. უკანასკნელათ „ჯადოქრის“ ასეთ საშინელებას გერმანიაში 1782 წ. ქონდა ადგილი. ანნა ჰელდის ასულს დასწამეს, რომ იმ ბავშვს, რომლის აღმზრდელათაც თვითონ იყო, ეს, ჯადოქრობის საშვალებით კუჭში ჩაუდო ქვები, ნემსები, ქინძისთავები და მოკლაო. ასეთ დანაშაულისთვის მას მახვილით მოუღეს ბოლო. მაგრამ ასეთი რამ არა თუ მე-XVIII საუკ. დასასრულამდის თავათ XIX საუკ. მოხდა საფრანგეთში. **როზალია დუაზისახ** ჯადოქრობით მამის სიკვდილი დასწამეს, ციხეში ჩააგდეს, ტანჯეს, აწამეს და ყოველნაირი სისაძაგლე ჩაიდინეს მისდამი. მის შესახებ იმ დროის გაზეთებში აუარებელი წერილები იბეჭდებოდა.

დიდი გავლენა ქალთა ასე სდევნის ისტორიაში მოახდინა სამმა პიროვნებამ: გრაფ შპემ, ბალტაზარ ბეკერმა და ტომაზიუსმა. **პირველი** სასულიერო წოდების იყო, მაგრამ მაინც შეებრძოლა ამ საშინელებას; მან გამოსცა წიგნი „ჯადოქართა ძებნის“ წინააღმდეგ. ფილოსოფოს ლეიბნიცის სიტყვებით, ამ გრაფ შპებს ახალგაზრდობაში სრულიად გაუთეთრდა „ჯადოქართა გამოძებნის“ წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ საშინელების ხილვა და განცდით.

მეორემ გამოსცა 1691 წ. წიგნი შემდეგი სათაურით: „მოჯადოებული წრე.“ ეს წიგნი სხვადასხვა ენებზეც გადაითარგმნა და მისი გავლენით თანდათანობით ძალიან მალე შესუსტდა „ჯადოქართა გამოძებნის“ საქმე.

მესამემ-ტომაზიუსმა გაცილებით უფრო დიდი შთაბეჭდილება და გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, ვინემ ორმა პირველმა. ის ცხოვრობდა მე-XVII—XVIII-ს. და პიეტისტი და იურისტი იყო. მან თავის შრომაში იურიდიულის თვალსაზრისით დაამტკიცა „კუდიან-ჯადოქარ-ქალთა“ ძებნის სისაძაგლე, სიმხეცე, სიგიჟე და უგუნურება, რის გამო მას დევნა დაუწყეს ძლიერმა მოწინააღმდეგებმა და დიდი ტანჯვა-წამება და ცილის წამებაც მიაყენეს. მიუხედავათ ამისა, მაინც განსაკუთრებით ტომაზიუსის წიგნით დასრულდა ფანატიზმითა და ცრუმორწმუნოებით ქალთა დევნა-ფერფლა.

V

ბრიტანეთის კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი კანონით, ყოველი ადამიანის გასასამართლებლათ საჭიროა, რათა მისი სწორი ასამართლებდეს მას (чтобы всякий был судим своими равными). იმავე კონსტიტუციის ძალით, ყოველ უცხოელს, რომელიც კი ბრიტანეთის საზღვრებში ცხოვრობს და პასუხის გებაში იქნება მიცემული, უფლება ეძლევა, მის გასასამართლებლათ ნაფიც მსაჯულთა ნახევარი უეჭველათ მისი თანამემამულეებისაგან შესდგებოდეს.

მაგრამ, არ გეგონათ, ასეთი უფლებით ორივე სქესის წარმომადგენლნი-ქალი და კაცი-სარგებლობდენ. არა და არა! ასეთი უფლება არსებობს მხოლოდ მამკაცთათვის. დედაკაცი ამ მხრივ ყოველივეს მოკლებულია. მას არც ნაფიც მსაჯულობის ნება აქვს და არც მოსამართლისა. მაშასადამე, ქალს ინგლისში ასამართლებდენ და ასამართლებენ მხოლოდ მამაკაცთაგან შემდგარს სამსჯავროში. ამაზე მეტი უსამართლობა განა შეიძლება?! ჩვენს დროში კიდევ შეიძლება ასეთი უსამართლობის წარმოდგენა, ნახევრათ მაინც შეიძლება ამას ადამიანი შეურიგდეს და ისიც მხოლოდ დროებით. მაგრამ მე-XIX ს. უკანასკნელ მეოთხედის დაწყებამდის-იმ შავ ბნელ დროში, როცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალთა დევნის საშინელების სავსებით აღწერა რამდენიმე მსხვილ ტანიან ტომის დაუწერელათ ყოვლად შეუძლებელია, დიახ, სწორეთ იმ სიმხეცის ეპოქებში ქალების მიერ მონაწილეობის მიუღებლათ მათი დების გასამართლება და ჭეშმარიტების დანახვა შეუძლებელი იყო. მიტომაც ასე ხანგრძლივათ ე. ი. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა გახელებულ-გაათვერებულ სისასტიკითა და სიმხეცით ევროპიელ დედაკაცთა დევნა-წამება.

ახლა საქართველოს და ქართველ დედაკაცის მდგომარეობას დავუბრუნდეთ და ვიკითხოთ: განა ამისი მზგავსი რამ იყო ოდესმე ჩვენში?! განა ერთი ქალი მაინც დაუფერფლიათ კოცონზე ან გველებთანა და ძაღლთან ერთათ ტომარში ჩაუსვამთ და ადიდებულის მდინარეში გადაუგდიათ?!

ჰო, როგორ არა!

მრავალტანჯულ ქართველ ერს დაუწვავ-დაუფერფლებიათ ერის ამაყი შვილები, ქეთევანები და არჩილები, ელიზბარები და ბიძინები; მაგრამ ეს ხომ საქართველოს და მშობლიური ერის [illegible] გადასარჩენად ჩაიდინეს ჩვენმა [illegible]! დიმიტრი თავდადებულმაც ხომ თავი შესწირა? ისიც ხომ [illegible] ბრძანებითა?

განა ამაზე უარეს შორს კიდევ წავა სულის სილამაზე?! იმ სულის სილამაზე, რომელიც [illegible] საკუთარი „მე“-ს მსხვერპლობით და თავის ერის დასახსნელად ქალის გვირგვინი დიდებამ დაადგა?! დიახ, ქართველ ქალს [illegible]

[illegible] ქართველობამ [illegible] უნდა იამაყოს, რომ მას ერთხელაც კი არ ჩაუდენია ისეთი სამხეცე და [illegible], რომელიც, როგორც დავინახეთ, თვით „ისახელის“ დასავლეთ ევროპის კულტურის [illegible] ჩადენია მე-XIX ს. პირველ ნახევარშიც.

გ. ბ.

ფანტაზია

(მასწ. ფ. ლომაძის ხსოვნას).

... და ყვავილნარს კვლავ ატკბობდა
გრძნობით თქმული ლექსი...
და ქალ-ვაჟიც იყრებოდა
მთვრალი, ნაალერსი...
თვით წყაროს წყალს აღელვებდა
მათი გულის ძგერა...
ტალღა თრთოდა და ზედ აჩნდა
მათი კოცნის ბგერა...
ხანი გახდა... დრო იცვალა,
კოცნას კოცნა სდევდა,
მაგრამ თვალი ჩაიჩრდილა,
შეეპარა სევდა...
ვაჟს ქალი არ აღელვებდა
გულ და მკერდ შიშველი
და პაემანს გაურბოდა
ვით ნათოფი შველი...
ხოლო, ქალი, ვით მლოცველი
მოდიოდა ჩუმათ,
როცა წყაროს ღამის ნისლი
აწვა აბრეშუმათ,
და დიდ ქვაზე, წყაროს პირათ.
იმ კაეშნის გრდემლზე
დაჯდებოდა თმანაწეწი
და ცრემლს ღვრიდა ცრემლზე...
ღამე ბნელი. ქალი ქვასთან
ფიქრებ ჩათალხული,
ვით ნაწამლი ისრისაგან
დაჭრილ განართხული...
ცა გაირღვა, ვარსკვლავები.
მთვარის მკრთალი შუქი...
ასულის ფერხთ იქვე ქვასთან
ძევს ბარათი მუქი...
ქალი დასწვდა, გადაშალა,
ზედ დაუწყო ცქერა
და წარმოსთქვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ
მასში რაც ეწერა
„მსურდა ახლო ჩამეხედა
ასულის ნორჩ გულში.
რომ ცხოველათ გადამეღო
ლექსების რვეულში!

მე არ მესმის სიყვარული,
არც ოხვრა ნაღველი;
არც პირობა, არც ღალატი,
არც ცრემლი დამწველი!
და თუ შევხვდი სხვასაც შენებრ
გრძნობა-გადარეულს,
მასაც შენებრ დავიმონებ
და ვუძღვნი ჩემს რვეულს!
ამ ბარათზე ქალი დაშნდა,
გულს დანა დაიცა,
ნისლს შეერთო ქიმერათ
უცებ გარდაიქცა...
და მის შემდეგ ორწოხებში
დაძრწის ის ასული.
თმაგაშლილი, ფეხშიშველი,
ვით ქაჯი ავსული...
ყველგან არის მისი ბინა,
მისი სამყოფელი;
მაგრამ ყველგან ეჩვენება
მისი დამღუპველი...
დღისით წყაროს ესტუმრება,
ტანს იბანს ჩანჩქერში
და იმ ვაჟის სახელს აწერს
ქვაზე წყაროს ფსკერში.
საღამოზე გაშორდება,
ვით შველი დამფრთხალი
და სოფლისკენ ეშურება,
როგორც ქარიშხალი.
ღამობით კი ჰკივის, ღმუის,
როგორც მწუხრის ზარი;
ხან ცეკვავს, ხან შეშლილივით
წასკდება ხარხარი.
ხან ასულებს ეცხადება,
კიცხავს და ალხენს;
სთხოვს გრძნობას არ შეეწირონ,
ღალატს მოაგონებს.
ხან ეწვევა პოეტის გულს—
გრძნობის სასაკლაოს;
ხან მის რვეულს—მკვდარ იმედთა
კუბოს, სასაფლაოს...

ნესტორ.

ხელოვნება

ნატო ჯავახიშვილის ბენეფისი.

ხუთშაბათს 24 მაისს რუსთველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობ ქალის ნატო ჯავახიშვილის ბენეფისი. წარმოდგენილ იქნება ფრანგული მელოდრამა „ორი ობოლი".

საღამო წითელ ჯვრის საზოგადოებების სასარგებლოთ. 23 მაისს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ვინ არის დამნაშავე".

გიორგი დავითაშვილის ბენეფისის გამო. დღეს რუსთველის თეატრში გაიმართება ქართულ სცენის ნიჭიერ მსახიობის გიორგი დავითაშვილის ბენეფისი, წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში შექსპირის უკვდავი ტრაგედია „ჰამლეტი". 24 სურათით. დადგმა რეჟისორ აკაკი ფალავასი. პიესა დაიდგმება სრული ახალი მიზანსცენებით და დეკორაციებით, რომელიც დახატულია მხატვარ სიდამონ ერისთავის მიერ, თვით როლები განაწილებულია შემდეგნაირათ: ჰამლეტი—გიორგი დავითაშვილი, ლაერტი—მ. ლორთქიფანიძე, მეფე—ხორავა, ოფელია—ნინო გამრეკელი, დედოფალი—ნინო დავითაშვილი, პოლონიუსი—კორიშელი, ჰორაციო—ჩხეიძე, მსახიობი ალ. იმედაშვილი, მესაფლავე—გოცირიძე და სხვ.

ხაზაფხულო კლუბების გახსნა. კვირას, 30 მაისს, გაიხსნა საქ. წითელ-არმიელთა ცენტრალური კლუბის (ყოფ. ქართული კლუბი). ამ საღამოთი თეატრში გაიმართა ინტერნაციონალური წარმოდგენა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზედ. ამავე ბაღში გაიხსნა აგრეთვე საზაფხულო კინო თეატრი „ოაზისი".

ამავე დღეს გაიხსნა მეორე საზაფხულო კლუბი თვით-მშრომელთა (ყოფილი ხელოსანთა კლუბი) პლეხანოვის ქუჩაზედ. ამ საღამოსთვის დანიშნული იყო საგანგებო წარმოდგენა, მუსიკა და სხვა გასართობები. ბაღი კარგად არის მოვლილი. არის ბუფეტი. ეს კლუბი წინეთ ხელოსნებმა დაარსეს, მხოლოდ ეს რამოდენიმე წელიწადია რაც მათ ჩამორთმეული ჰქონდათ. ეხლა ისევ მათ დაიბრუნეს და მოაწყვეს ისევე თავიანთი კლუბი. მათ უსათუოდ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ კლუბის კულტურულ-განმანათლებელ მხარეს რაც მათ დიდ სარგებლობას მოუტანს. უამისოდ კი კლუბის გახსნას არავითარი მიზანი არა აქვს.

ამ დღეებში შესდგება კრება ფერეიდანელ ქართველთა დამხმარე კომიტეტისა, რომელმაც უნდა იმსჯელოს და შეიმუშაოს წესდება, თავის შემდეგი მუშაობისა. თუ რა სახით და რანაირად
უძლიანთ დახმარება გაუწიონ ჩვენს შორე
ძმებს. ეს წინასწარი კრება შემდეგში [illegible]
წვევს ფართო საზოგადო კრებას, [illegible]
საზოგადოება, რომ [illegible]
გაძღოლა იქმნეს შესაძლებელი, რაც აუცილებლ
საჭიროა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე-461
მერში მოთავსებულია პატარა კორესპოდენცია
ტრედიიდან, რომელშიდაც სხვათა შორის ავტო
ეხება „საბავშო ბაღსაც" და ირონიულად დასცი
მას. ავტორის საყურადღებოთ უნდა განვაცხა
შემდეგი: ორი თვეა რაც რაიონულ პარტკომი
არსებული ქალთა ორგანიზაცია მუშაობს და ენ
გიულ ზომებს ღებულობს „ბაღის" მოწყობისათვ
ნუ გგონიათ, რომ თქმა და გაკეთება ერთი იყ
მით უმეტეს ასეთ ორგანიზაციის მოწყობა,—ქალ
ორგანიზაციამ ჩააბა მის მუშაობაში ყველა ქალე
მიმართა სადაც ჯერ იყო და სხვა. ერთი სიტყვ
საძირკველი ჩაყრილია და თქვენი სიტყვით, რ
ვსთქვათ „კურთხევაც" მალე იქნება, მხოლოდ ა
დრო უნდა; და ჩვენც მოწადინებული ვართ, რ
შეიძლება მალე მოხდეს ეს, მხოლოდ უნდა და
რიგოთ ავტორი, რომ შემდეგ არ მოუვიდეს ეს
თი მარცხი: ჯერ საქმის გარემოება და მსვლელ
კარგათ უნდა გაიგოთ და შემდეგ აიღოთ ხელ
კალამი.

ირინეს შვილ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთ
შემდეგს: მე ვირიცხებოდი საქ. სოც.-ფედ. პარ
ში და ყოველთვის მხარს უჭერდი მემარცხენე
თის მუშაობას. პარტიაში მომხდარ განხეთქილ
შემდეგ არ მქონდა საშუალება პარტიულ მუშაობა
მონაწილეობის მიღებისა. დღეიდან მსურს ვირი
ცხებოდე მემ. სოც.-ფედ. პარტიის წევრად და
წვლილი შევიტანო ეროვნულ სოციალისტურ
მეში.

ნიკოლოზ დევი

შეცდომის გასწორება.

— „ტრიბუნის" შაბათის და კვირის ნომ
შეცდომით აწერია მაისის 18 და 19. უნდა
მაისის 19 და 20.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

რულებელი კომიტეტების მიერ თემებისა და ბუნებისათვის, თემებისა და უბნების აღმასრულებელი კომიტეტები შეადგენენ საგადასახადო სიებს, რომელშიაც უნდა შეიტანონ თვითეულ მეურნეობაზე გაწერილი გადასახადის თანხა; საგადასახადო სიის დამტკიცებისას სათანადო ფინანსთა ინსპექტორის და სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ, საბოლოოდ განსაზღვრული თანხა გადასახადისა შეტანილ უნდა იქნეს დაწესებულ საშენაწერო (ოკლადნოი) ფურცელში, რომელიც დაუყონებლივ გადაეცემა გადამხდელს.

14. პასუხისმგებლობა დასაბეგვრი სიმრავლისა და ოთხფეხი საქონლის სისწორით და თავის დროზე გამორკვევისათვის თვითეულ მეურნეობაში, გადასახადის რაოდენობის სწორი გამოანგარიშებისათვის და აგრეთვე საშენაწერო სასოფლო ფურცლების თავის დროზე შედგენისათვის და გადასახადის თავის დროზე და სისრულით აკრეფისათვის—ეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს.

15. იმ რაიონებში, სადაც გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ფულად. გადასახადის აკრეფა დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს და დაწესებულებათ; აღნიშნულ რაიონებში სასურსათო სახალხო კომისარიატის საგადასახადო აპარატი გადადის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხელში, იმ რაიონებში, სადაც გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ნატურით, გადასახადის აკრეფა დაეკისრება სასურსათო სახალხო კომისარიატის ორგანოებს, ხოლო ამასთანავე ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია მოაწყოს კასები გადასახადის ფულადი ნაწილის მისაღებად მცხოვრებთაგან და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ კასებს.

16. გადამხდელი ვალდებულია მოსავლის დაბინავებისა და საშესაწერო ფურცლის ჩაბარებისთანავე შეუდგეს გადასახადის გასტუმრებას. გადასახადის შეტანის ვადებს ფულად და ნატურით დააწესებენ ამიერ-კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატები.

17. გადამხდელს შეუძლია შეიტანოს სამაზრო საგადასახადო კომისიაში განცხადება და საჩივარი როგორც დაბეგვრის ობიექტებისა და ნიშნების არა სწორი აღნუსხვის შესახებ, ისე თვით გადასახადის შენაწერის გამოანგარიშებისა და გადახდევინების გამო. განცხადებისა და საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადასახადის გადახდევინებას.

შენიშვნა: განცხადება იმის შესახებ, რომ ესა თუ ის სოფელი უკანონოდ არის ჩარიცხული მოსავლიანობის ამა თუ იმ კატეგორიაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ თემისა, უბნისა, ან სოფლის მიერ, ხოლო არა ცალკე გადამხდელის მიერ.

18. გადამხდელს შეუძლია სამაზრო საგადასახადო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს განსაკუთრებულ საგადასახადო კომისიაში.

19. მოქალაქე, რომელიც გადასახადს არ გადაიხდის, პასუხს აგებს პირადათ და თავისი ქონებით სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით; დაწესებულ ვადაში შეუტანლობისათვის გადასახადს მიერიცხება საურავი.

20 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთები დაწესებულ უნდა იქნეს ცალკე დეკრეტით.

21. ამა დეკრეტის განვითარებისათვის ამიერ კავკასიის ფინანსთა და სასურსათო სახალხო კომისარიატები ერთად გამოსცემენ საჭირო დადგენილებათ და ინსტრუქციებს და დააწესებენ ყველა ვადას ამა დეკრეტის განხორციელებისათვის.

22. მოქმედება ყველა,—გამოუნაკლისად,—წინად გამოცემული დეკრეტისა და დადგენილებისა სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის დაწესების შესახებ მოისპოს 1923 წლ. ივლისის 1-დან, ხოლო ნარჩენი ამ გადასახადებისა ცალკე იქნეს გადახდევინებული.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯ. **ს. ამბარცუმიანი.**

სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სასურსათო სახალხო კომისარი **დ. ბუნიატზადე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ნ. თუმანოვი.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. ტალიბლი.**

განცხადება

თბილისის აღმასკომის დარაბების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ.

საფინანსო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ის პირი, რომელიც განიზრახავს დარაბის, საწყობის, სარდაფის და ან სხვა რამე სავაჭრო-სამრეწველოს დაკეტვას, ვალდებული არის ხუთმეტი დღით ადრე უბრალო განცხადებით აცნობოს საფინანსო განყოფილებას (ოთახი № 14) რის შემდეგ უნდა უცადოს აღმასკომის აგენტს რომელიც ჩაიბარებს დარაბის გასაღებს და ინვენტარს და გაასწორებს მოიჯარადრესთან ყოველივე ანგარიშს. ყოველივე გატანილ ინვენტარზე პასუხისმგებელია დარაბის მოიჯარადრე.

საფინანსო განყოფილების გამგე **ვ. ფიადოვცევი.**

№ 361 2—1

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილება № 28

15 მაისი, 1923 წ.

იმ მიზნით, რათა ესლა არსებულ ზომის რუსულ სისტემიდან საერთაშორისო მეტრიულ სისტემაზე გადასვლა მოხდეს წარმატებით და დაჩქარებით, ს. ს. ს. რ. სახ მეურ. უმ. ღ. საბჭო, საბჭოთა საქ მთავრობის ა. წ. 31 იანვრის № 91 დეკრეტის თანახმად, ადგენს:

1. მოხდეს სწორი რეგისტრაცია ყველა სისტემის წონის და ზომის სასწორ-საზომებისა, რომლებიც ხმარებაშია კერძო, საზოგადო და მთავრობის დაწესებულებებში; ორგანიზაციებში, წარმოებებში, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში, რომლებიც კი მოიპოებიან საბჭოთა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. რეგისტრაციის გასაადვილებლად და წარმატებით ჩასატარებლად საბჭოთა საქართველოს ყველა რაიონებიდან შეიქმნეს ხუთი ჯგუფი შემდეგი პუნქტებით:

პირველი ჯგუფი: 1) ტფილისის (გარდა ქალ. ტფილისისა) და ბორჩალოს მაზრები.

შენიშვნა: ქ. ტფილისი გამოყოფილია ცალკე, სახალხო მეურნეობის უმ. ს. № 24 დადგენილების თანახმად.

2) ქალაქები: ბათომი, ქობულეთი და ოზურგეთი მაზრებით.

3) ქ. ფოთი, ახალ-სენაკი, ზუგდიდი მაზრებით.

მეორე ჯგუფი: 1) ქ ქუთაისი, სამტრედია, ხონი და ტყვიბული მაზრებით.

2) ქ. ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა მაზრებით.

მესამე ჯგუფი: 1) ქ. გორი, ცხინვალი, ხაშური, სურამი.

2) ქ. ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი—მაზრებით.

მეოთხე ჯგუფი: 1) ქ. თელავი და სიღნაღი მაზრებით.

2) ქ თიონეთი და დუშეთი მაზრებით.

მეხუთე ჯგუფი: 1) ლეჩხუმის მაზრა. 2) რაჭის მაზრა.

3. თვითეულ ჩამოთვლილ რაიონში რეგისტრაციას ხელმძღვანელობს წონისა და ზომის მთავარი პალატის პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი ან სხვა პირი, რომელიც სპეციალურად ამ მიზმით იქნება დანიშნული პრეზიდიუმის მიერ.

4. ადგილობრივი კომუნალური და ეკონომიური განყოფილებანი რეგისტრაციის ნაყოფიერად და სასწრაფოდ ჩატარებას უწევენ ყოველ
დახმარებას, მიუჩენენ თავის დროზე სარეგისტრაციო კომისიას სათან
შენობას, აწოდებენ ცნობებს მცხოვრებთა შესახებ და სხვ.

5. პირველ მუხლში ჩამოთვლილი დაწესებულებები, ორგანიზაცი
სავაჭრო-სამრეწველო წარმოებანი და დაწესებულებანი ადგენენ რე
ტრაციის დროს შემდეგ ცნობებს:

ა) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების პატრონის სახელს, მამ
სახელს და გვარს და სხვ., ან ფირმის, ორგანიზაციის ან დაწესებულ
სახელწოდებას.

ბ) წარმოების, სავაჭროს და სხვ. სწორ მისამართს.

დ) სავაჭროს ხარისხს.

ე) არსებულ საზომებისა და სასწორების რაოდენობას, ამავე დრ
აღნიშნული უნდა იყოს სისწორით გირის წონა, სასწორის ამწევი ძალ
შკალების რაოდენობა მასზე აღნიშნული წონით, სასწორის ხახე, აგრ
სხვა ზომების სიგრძე, მოცულობა და სხვ.

6. დადგენილების ადგილებზე ჩატარების ვადა, წესი და რიგი უნდა
შეიმუშავოს საბჭ. საქართველოს ზომის და წონის მთავარმა პალატამ.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: **ვ. ავაქოვი.**

შინაგან საქ. სახალხო კომისრის მოადგილე: **ტალახაძე.**

ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველი: **ხვიჩონიშვილი.**

1—1

ტირაჟი 1870 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმმართველობის მიერ. № 293 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. №